სამეცნიერო კონფერენცია: „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“

2018 წლის 17 დეკემბერს სტუ–ს გიორგი ნიკოლაძის სახელობის დარბაზში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“.

კონფერენცია მიეძღვნა ირაკლი ციციშვილის 100 წლის იუბილეს.



ირაკლი ციციშვილი 1918–2001

ირაკლი ნიკოლოზის–ძე ციციშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კატედრის გამგე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ისტორიისა და ტეორიის კატედრის გამგე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იტალიის ხელოვნების აკადემიის წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, მეორე მსოფლიო ომის გმირი, ღირსების ორდენის კავალერი.

კონფერენციის პირველი ნაწილი დაეთმო მოგონებებს ირაკლი ციციშვილის შესახებ. სიტყვით გამოვიდნენ მისი ყოფილი სტუდენტები, თანამშრომლები, მეგობრები: გიორგი სალუქვაძე, ვახტანგ დავითაია, გიგია ბათიაშვილი, რევაზ მიშველაძე, მარიკა დიდებულიძე, ნიკოლოზ შავიშვილი, მედეა მელქაძე, ნინო იმნაძე და სხვები.

კონფერენციის მეორე ნაწილში მოსმენილი იქნა სამეცნიერო თემები არქიტექტურის, ხელოვნების და ქალაქგეგმარების საკითხებზე. წამოჭრილი იყო მთელი რიგი პრობლემები, რომელიც ქალაქ თბილისის არქიტექტურის მომავალ განვითარებაზე ახდენს გავლენას და სხვა.